

„მეჩვენი, მეჩვენი, მეჩვენი, ოც... ეს მეჩვენი!..“

მეჩვენი

პროგრამა „პროგრამის მანდატი“ დანამატის №1



დედის სხარეული



დავით ივანოშვილის
ნახატი



ქალბატონებო, გილოცავთ 3 და 8 მაისს!

ძვირფასო

ბარეჯელებო!

გთავაზობთ ჟურნალს, რომელიც პირველი ცდაა ჩვენი – ფურცლებზე გადმოვიტანოთ საგარეჯოელთა ცხოვრება, ზოგჯერ გავიხსენოთ წარსული, რეალობაში ავსახოთ დღევანდელი და გამოვამზებთ იმ, თუ რა შემკვიდრებებს ვუტოვობთ ჩვენს მომავალ თაობას. საგარეჯოს ქალაქად წოდებიდან 50 წელი უსრულდება 2012 წლის დეკემბერში. ეს ჟურნალიც და მომდევნო ჟურნალებიც სწორედ ამ თარიღს მიეძღვნება, ძვირფასო მკითხველო და მოდით, ერთად ვეცადოთ, ღირსეულად შევხვდეთ მას, მოგვაწოდეთ მასალები, მიიღეთ ჟურნალის გამომშვებაში აქტიური მონაწილეობა.

ამჯერად მარტსა და ქალებს, მანდილოსნებს დაგუთმეთ ეს ჟურნალი, აპრილის ჟურნალი კი სიყვარულს მიეძღვნება. გავიხსენოთ გარეჯელთა ის სასიყვარულო ეპიზოდები, თაობიდან თაობას რომ გადმოეცა, დღევანდელსაც ნუ დაემალაეთ, ღამაზად წარმოვაჩინოთ, იქნებ კურიოზულიც, მაგრამ, ჩვენებური, ღამაზი, კახური სიალაღი და ერთგულებით ჩასახულ-გამართლებულიც, ან იქნებ გაუმართლებელიც. ვეცადოთ ყველაფერი ფესვებიდან დავიწყოთ და გზა სიყვარულს, ნათელ მომავალს დავულოცოთ.

მაშ, გელოდებით, ველით თქვენს გამოსმაურებებს!

რედაქცია

სარჩევი:

1. ამაბღარი ————— გვ 4
2. 3+3 ————— გვ 5
3. მუღამ კატარემის სამსახურსა და სიახლის ძიებებში ————— გვ 6
4. *სადღეს ზავიღა ოს ქალი, ვინუ...* ————— გვ 7
5. *ქე რუმიტ ვაჟე...* ————— გვ 8
6. **მარცვალ-მარცვალ ღაკიგებული სითგო** ————— გვ 9
7. **გაჟგვს გული უნდა აჩუქო** ————— გვ 9-10
8. **გაკალიული სიყვარული უკვდავსაყოფად** ————— გვ 10
9. **ყველა სარუძარზე ძვირფასი — ყვაპილები** ————— გვ 11
10. **ქალი — კითილად მომღაკალი** ————— გვ 12
11. **~ ალაიანი — სიყვარული ~** ————— გვ 13
12. *მეხენნიტ ქალიშვილ აიუნე...* ————— გვ 14
13. **ვალმოხლილი** ————— გვ 14

ჟურნალის გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო
დ. აღმაშენებლის ქ. № 15

რედაქტორი:
თინათინ ილაური

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“

დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842

577 951 488

წლები და სიყვარული – მისი სიძლიერა

63 წელი



გვარი – ანუაშვილი
 სახელი – ლენა
 დაბადების თარიღი – 1928წ.
 განათლება – უმაღლესი
 პროფესია – ექიმი
 სამუშაო სტაჟი – უწყვეტი, 63 წელი
 სოციალური მდგომარეობა – ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი, ერთი შვილთაშვილი
 ადამიანებთან ურთიერთობა – 10 ქულა (10 ბალიანი სისტემით)

დიაგნოზი: მუდმივად შეყვარებული საკუთარ პროფესია-სა და ადამიანებზე.

ქალბატონი ლენა, რომელსაც ყველა საგარეოეო სიყვარულით, უბრალოდ “ლენა ექიმს” ეძახის, მართლაც რომ დიდი სანუქარია ჩვენთვის, საგარეოეოებისათვის. იშვიათია ის მადლი, რომელიც მას დაჰყვება თან. ასეთი მადლი შეიძლება დიდხნის მომარხულე, დღენიდაგ მლოცველს ჰქონდეს. თუმცა, ქალბატონი ლენა ერთიცაა და მეორეც. მომარხულეა – ენით, მოზომილი ურთიერთობებით, მლოცველია – გულით, ტკბილი საუბრით, კეთილი სურვილებით, საქართველოს სიყვარულით, კაცთმოყვარეობით...

სკოლა ოქროს ატესტატით დაამთავრა, 21 წლის ექიმის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. დაუბრუნდა იმედოდ, რწმენად, ბურჯად და დარაჯად თავისი კუთხის ადამიანებს. სხვადასხვა დროს, მოკლე ინტერვალებით იყო უჯარმის, სიონის, გომბორის მოსახლეობის თერაპევტიც, მეან-გინეკოლოგიც, ერთი პერიოდი, როცა პალდოს კაშხლის მშენებელ ბერძნებს პარტახტიანი ტიფი შეეყარათ, - ეპიდემიოლოგიც. მას იმ პერიოდში, იმ ოთხი წლის განმავლობაში სწორედ რომ ელოდა საგარეოეო. შემდეგ იყო საგარეოეოს პოლიკლინიკა, რაიონული საავადმყოფოს ექიმი-თერაპევტი. თუმცა იყო იქ, სადაც ადამიანს მისი პროფესიონალიზმი და უპირველესად მისი გულის სითბო, მისი მოფერება, ტკბილი დაყვავება სჭირდებოდა. ვინ იცის, ბავშობიდან რამდენჯერ მსმენია გაჭირვებული ავადმყოფისგან: “– ლენა ექიმი მინდა, ლენა ექიმის ენაც მომარჩენს, მისი ერთი შემოხვევაო.” და არის ყველასთან და ყველგან, თავისი ფონენდოსკოპითა და მოსიყვარულე, მზით გამთბარი გულით. დადიოდა და დღესაც ფეხით დადის, არ დაიხარებს ავადმყოფთან მისვლას, მის მიკითხვას, მაშინაც კი, როცა პაციენტი უკვე გამოჯანმრთელებულია. მაინც შეუვლის, კიდევ ერთხელ გადაამოწმებს მის ჯანმრთელობას. ყოველგვარი ანგარებისა და მატერიალური დაინტერესების გარეშე, რადგან ყველა საგარეოეოელი მისიანია, ყველა მისი ახლობელია.

ერთხელ ავადმყოფთან ფეხით მიმავალს, მანქანა გაუჩერეს და შესთავაზეს, დაბრძანდით, მანქანით მიგიყვანითო, მაგარმ ლენა ექიმს უარი უთქვამს, რადგან მანქანაში ჩასაჯდომად და გადმოსასვლელად დაკარგული დრო დანანებია გაჭირვებულ ავადმყოფთან განჩარებით მიმავალს, ხშირად ხომ ამ პროფესიის ადამიანებისთვის წუთებს და წამებს აქვს გადაამწვეტი მნიშვნელობა. ამიტომ მოუბოდიშებია და ნაბიჯი აუჩქარებია. ამ ამბავს დღესაც ანეგლოტად იხსენებენ მისი ახლობლები.

მის გვერდით ყოფნა ყველას უხარია. შეუძლებელია მის დიმილით გამთბარ სახესა და სიყვარულით მოციმციმე თვალებს გულგრილად ჩაუარო. რაც არ უნდა გეჩქარებოდეს, აუცილებლად შეგაჩერებს მისი ტკბილი ხმა, გულიანი, თბილი მოკითხვა, მნიშვნელობა არ აქვს მისი თანატოლი ხარ თუ შვილისა თუ შვილიშვილის კბილა. მისი საყვარელი სახე და მისი სიყვარულით გამთბარი სიტყვები განშორების შემდეგაც კარგა ხანს მიგყვება და გრძნობ, რომ მის გვერ-

დით დაყოფილმა რამოდენიმე წამმა, მისმა დედა-შვილურმა მოკითხვამ შენც გაგაკეთილშობილა, შენც გადმოგლო იმ სიყვარულის ნაპერწკალი, ეს არაჩვეულებრივი ადამიანი რომ ატარებს გულით ყველა ცოცხალი არსების მიმართ. რამდენი თერაპევტი, კარდიოლოგი, ინფექციონისტი, მეან-გინეკოლოგი გაიხარდა მის მაგალითზე, ჩამოყალიბდა პროფესიონალად. პროფესიონალური უნარ-ჩვევების გარდა მისგან ბევრმა ისწავლა დიასახლისობა, ფუტკრისა თუ ვაზის მოვლა, რამდენს აჩუქა თავის ბაღში მოყვანილი, ნაფერები ყვავილები.

ეს უშრეტე ენერგიაა, რომელიც უფალმა დააბედა კეთილთვისებებთან ერთად და რახან ისევ ადამიანებს ახმარს, ბოლომდე იხარჯება, ისე რომ თავისთვის ერთ წამსაც არ იტოვებს, ღმერთმა ამ ნიჭისა და გარჯის საფასურად ხალხის სიყვარული უბოძა. არც ისე ცოტაა ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენო ლენა ექიმო, არც ისე მჩატეა და არც ისე პატარა. რაც ასაკში შედის, მით უფრო იზრდება ეს სიყვარული, ახალი თაობების სიყვარული და სითბო ემატება პატარა შენაკადებად. დავილოთ გულზე ხელი ამ სტრიქონების წამკითხველებმა, რამდენჯერ მიგვიბაძავს ლენა ექიმისათვის ყურადღებებიანობასა და ადამიანებისადმი სიყვარულში?!

ძალიან გვიყვარხართ, ლენა ექიმო! მადლობა უფალს, რომ თქვენ გვეყვარხართ, მადლობა იმისთვის, რომ ღირსეულად ატარებთ ქალის იმ ტვირთს, რომელსაც ჯერ ერთ-ერთი მეუღლეობა, შემდეგ თავდადებული დელობა და ტკბილი ბებიობა, ყოველივე ამასთან ერთად კი მაღალი პროფესიონალიზმი და კაცთმოყვარეობა ჰქვია. გილოცავთ დედის დღეს, ქალთა დღეს, გაზაფხულის, მარტის შემობრძანებას, რომელსაც ამ ბოლო 63 წლის განმავლობაში პირველად ხვდებით შინ, საყვარელი სამუშაო ადგილის სხვებისთვის დამთმობი. ჩვენ კვლავ გვეიმედებით, ახლა სახლში მოგაკითხავთ, რომლის კარიც ყოველთვის დიაა თქვენს პროფესიონალიზმსა და ჰუმანურობაში დარწმუნებული ხალხისათვის.

მრავალკამიერ, დიდხანს სიცოცხლე და სიხარული, დიდხანს მოგემკათ ის სამკალი, რომელიც თქვენს კარგი ქალობით ათეული წლების მანძილზე თესავთ.

საგარეოეოელთა სახელით, სიყვარულითა და პატივისცემით

საქართველოს კლინიკა

3+3

სინათლე შეეპარა გაზაფხულის პირველ დამეს. მამალი ებრძვის, ყვილით აცილებს სუსხიან სიბნელეს. ნინო კი აბრიალებული ღუმელით, ფეხაკრეფით მოსიარულე ხედება დღე-ღამის გასაყარს. ექვსი შვილის დედას საზრუნავს რა გამოუღვევს?! ეს ქეთათოს ტანსაცმელი, ეს თეკლასი, ეს გუგასი. კიდევ ერთხელ ამოწმებს წუხანდელ დაწობილს და ხელს უსვამს, ევერება. – ეს საბაგელი თეკლა, როგორ პირველობს ყველგან



ქეთა, თეკლა და გუგა დედასთან

და ყველაფერში?! – თან ხელს უფათურებს თეკლას ჯემბრს, – დაბადებითაც არც გუგას დაუთმო პირველობა, არც ქეთას. როგორ ჭირვეულობს, სულ ჩემი კაბის კალთას არის გამოკიდებული. მეტიხარა, მეტიხარა, – თან ედიშება, სახეზე ნათელი ევინება, – ზღაპრებიც მაგას უნდა წაუფიქროსოთ, ლექსებიც, წიგნებიც. აი, ქეთათო კი სულ სხვანაირია, კონტაქტური, მშვიდი, სანამ თეკლა “გააგიჟებს”, როგორ თამაშობს ყველა ჯგუფელთან, ჩუმად, უპრეტენზიოდ, ლექსებსაც ამბობს უკომპლექსოდ, ზღაპრებსაც პყვება. დედა შემოვლოვს გუგას, ჩემს პატარა ვაჟკაცს, – ახლა გუგას შარვალს გადაუსვა ხელი, – როგორ ვაჟკაცურად იტანს თეკლას და ქეთას “შემოტყვებს”, გაგებულად ხედება თორემ, ისეთი მიიმე მუშტი აქვს, მტრისას, მტრისას. როგორ წყნარად, უდრტინეველად იტანს გოგონების გადაბრალებულ “საქმეებს”?! როგორ გაერთიანდებიან, ერთ მუშტად შეიკრებიან ორივენი და იერიშზე გადადიან გუგასთან?! აბა, ერთი გაბედოს ვინმემ და ერთ-ერთს აწყენინოს, ერთმანეთს როგორ ესარჩლებიან, თუშეცა ბევრ რამეში ვერ “რიგდებიან”. უკვე დიდები არიან, მართლაც დიდები. რა პატარები იყვნენ, უსუსურები. რა მეშველებოდა მარი, ლიკა, გიორგი რომ არ მყოლოდა, ან ზურა არ ყოფილიყო ასეთი ყურადღებიანი, როგორ უნდა გაგვეზარდა ეს ანცები? თანაც როგორ შეარჩიეს გოგონებმა თავიანთი მსგავსები, რა იყო ეს არჩევანი, ხომ არ ეტყობოდათ თავიდანვე ვინ როგორი იქნებოდა? მარიმ თეკლა აირჩია, ლიკამ-ქეთა. გიორგის ძალაუნებურად გუგა შერჩა ხელში. უცბად გამოფიხილდა, ფეხაკრეფით გავიდა სამზარეულოში, საუბზე უნდა მოამზადოს. ფიქრი გიორგისკენ გაექცა “– მეთერთმეტე კლასელია და როგორ შეგნებულად, გულიანად მეხმარება ყველაფერში, ენაცვალოს დედა. გიორგი რომ არ მყავდეს, რა მეშველება, რო-

გორ შეეძლებდი პატარების საბავშვო ბაგა-ბაღში წაყვანა-მოყვანას, ან ვინ დაუდარაჯდებოდა მათ სიცვლქე-სიანცეს?! ლიკამ ოჯახი შექმნა, მერე რა, რომ სტუდენტია, მაშვიდებს ყველა, რა ექნათ, უყვარდათ ერთმანეთი და მაგას რა სჯობია, როცა სიყვარულით შექმნეს ოჯახიო. რა უნდა ქნას, პირველკურსელმა, თუშეცა ოჯახი კარგი აქვთ, ხელს უწყობენ ყველანაირად. მარი კი მესამე კურსს დაამთავრებს და სულ ცოტადა დარჩება. მარის შემდეგ გიორგი შეენაცვლება, იქნებ მასაც გაუმართლოს და არქიტექტურულზე ჩააბაროს. ეკ, ნიჭიერები კი არიან ჩემი შვილები, მაგრამ ამ ნიჭიერებასაც ხომ ხელის შეწყობა უნდა. ჩემთვის რომ საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორს მზია ბუკიტაშვილს ხელი არ შეეწყოს და ძიხად არ მიველე ბაგაში ჩემი შვილებიანად, როგორ გავზრდიდი, როგორ გავიტანდი სამთარ-ზაფხულს? ყველამ ხელი შემოწყოს და დღესაც მენმარებიან ჩემი საბავშვო ბაღის თანამშრომლები, – მათ გახსენებაზე შუბლი გაეხსნა, ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

ფიქრი ფიქრს გაჰყვა, ხელს აუნქარა, ზურამაც შემოხსნა სამზარეულოს კარი, ისურავს გიორგი შემოჰყვა. – ისე დაიპარებიან საკუთარ სახლში, როცა იმ ონავრებს სძინავთ, ამხელა კაცები, თითქოს სხვის სახლში არიან და სახლის პატრონს ეძალებიანო, – შევეცოდა მამა-შვიდი, – იქნებ ზურას რამე საქმე გამოუნდეს, მარტო სოციალური დახმარებისა და ჩემი ხელფასის ანაბარად ძნელია ოჯახის ყოველ-

“ჩემს მშობლებს თვრამეტი ძალ-ვაჟი ვყავდი, მე საქართველოს ცხრამეტ შვილს ვუტოვებ, თქვენ?”

ასინეთი შაშვრზაშვილი
წარწერა ქონკალის ძვაზა

დღიური ყოფა. ხელის შეწყობა, თორემ ხელოვანი, მხატვარი ზურა ხელოსნად, ოღონდ კარგ ხელოსნად იქცა, თანაც სეზონურად. თითქმის მომითავრა სალხმა მეტლახ-კაფელის დაგება, ბუხრების აშენება, სანტექნიკა. ნეტავ მუდმივი სამუშაო ჰქონდეს, მუდმივი ხელფასი და მერე რაღას ვინაღველებ, “ისე დავიფარებთ საბანს, როგორც გაგვეწვდება.” გაზაფხული მოდის, ფეს-საცმელ-ტანსაცმელი სჭირდებათ დიდებსაც და პატარებსაც. ამ სამთარში კიდევ ისე გაიზარდნენ, რომ სამთარის ტანსაცმელიც დაუპატარავდათ. კახეთში ეს ერთი “გამონაკლისია” სამი ტყუპი და ესენიც ჩვენ ვიწვევლობა უფაღმა, მადლობა ამისთვის, ხომ ლამაზები და ჯანმრთელები არიან, რაც მთავარია. თანაც, კათალიკოს პატრიარქის, ილია II –ის ნათლულები არიან. ქეთას ნათლია კახეთის გუბერნატორი, თეკლასი-რაიონის გამგებელი და გუგასი-პარლამენტარი, სამივე ხომ ჩემნი ოჯახის იმედია. ქეთას და თეკლას ნათლიებმა ახალი წლის წინა დღეს მინახულეს ტყუპები და საჩუქრებიც მოუტანეს. როგორ გაიხარეს ბავშვებმა?! ახალ წელს ლამაზად მორთული ნაძვის ხით შესვდნენ.

ფიქრი კარების უცნაურმა შემოდებამ შეაწყვეტინა, ოთახში თეკლა შემოტანტალბეულიყო, გავიღვიძე და ჩემი და-ძმა გავადვიძე, – ახარა დედას, – თეკლას ქეთა და გუგა შემოჰყვნენ და ოთახი კრიამულითა და ხმაურით გაივსო...

ნინო და ზურა ქურხულების ოჯახში 3 წლის პატარების კრიამულს შემოჰყვა მისი უდიდებულესობა მარტის პირველი დღია, თავისი საზრუნავითა და საფიქრალით.



„საქმიან შინაან ბამობაჩინოს“...

მულა პაპაჩიბის სამსახურსა და სიანლის ძიებაში



გ აზ ა ფ ხ უ ლ ი
გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ -
ლი ს ი ყ ვ ა რ უ -
ლი თ უ ყ ვ ა რ ს
დღესაც, ამ გა-
დასახედიდან
- რაღაცნაირი
ა ფ ო რ ი ა ქ ე ბ უ -
ლი, გაუთვით-
ნობიერებელი
ს ი ხ ა რ უ ლ ი თ
ხვდება. ეს სი-
ყვარული ხომ
ათეული წლების
განმავლობაში
ჩამოუყალიბდა
და ცოცხლისა
და სიღამაზის
გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი ს,
მოძრაობის გა-
ნახლების დროა
მისთვის. ჯერ
კიდევ კატრე-
თის სკოლა-
ში მუშაობის

დაწყებისას შეიცნო, რომ გაზაფხულზე მართლაც რაღაც შეუცნობელი, ახალი იწყებოდა - მოსწავლეებთან მიუ-
აოლა სხვანაირ დამოკიდებულებას, სიანხლებს ითხოვდა.
შემდეგ იყო საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახ-
ლის დირექტორობა, სადაც მართლაც დღედა მოსწავლე-
ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცხოვრება. ამას ყველა
გრძნობდა, ხედავდა და უფრო საპასუხისმგებლო საქმე -
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდისტობა
მიანდეს რაიონის განათლების განყოფილებაში. ყველამ
იგრძნო ახალი სიო, გამოცოცხლდა ბაგა-ბაღების, საბავშვო
ბაღების მუშაობა. იყო წლები, როცა ერთმანეთს თითქმის
შეჯიბრებაში „იწვევდნენ“ კოლექტივები, როცა რესპუბლი-
კური მნიშვნელობის კი არა, უკვე საკავშირო მნიშვნელო-
ბის გარდამავალ დროშებს საგარეჯოდან აღარ უშვებდნენ
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. ამაზე შეიძლება
ვინმეს გაეღიმოს, მაგრამ მაშინ ადვილი მისაწვდომი არ
იყო კავშირის მასშტაბით სოციალისტურ შეჯიბრებაში
პირველი ადგილის აღება და თანაც სად, საბჭოთა კავ-
შირის რუკაზედაც რომ არ მოინიშნებოდა ჩვენი პატარა
რაიონი. მაშინ ხშირად „შემომჩიოდნენ“ საბავშვო ბაღების
გამგებები - „რა ვქნათ, ქალბატონი ლუიზა მოსვენებას არ
გვაძლევს, საინტერესო მეთოდებს, საინტერესო საკითხებს
გვიზიარებს და რომ იტყვიან თავადაც „ხელებდაკაპიწე-
ბული“ ცდილობს სამუშაო პროცესში ჩართვას, რათა ჩვენც
გავკვიადვილოს მუშაობაო“. მასსოვს საკავშირო მასშტა-
ბით საჩვენებელი გახდა საგარეჯოს №1 ბაგა-ბაღის ეხო,
სადაც თვალსაჩინოების ცოცხალი მაგალითი იყო ეხოში
გაშენებული ბოსტანი, ვენახი, სადაც ბავშვებს აჩვენებდნენ
ბოსტნეულის, ვაზის მოვლას...

შემდეგ იყო ე.წ. „უძრობის წლები“, უშუქობა, უხელფა-

სობა, დაუფინანსებლობა, გაჭირვება, სიბნელე, განუკითხაობა.
ქვეყანაში დაიხურა საბავშვო ბაღები. მაგრამ, რესპუბლიკა-
ში ერთადერთი რაიონი იყო საგარეჯო, სადაც 29 დაწესე-
ბულებიდან, არც ერთი საბავშვო ბაგა-ბაღი და საბავშვო
ბაღი არ დახურულა. დღესაც ყველა გამგე იხსენებს - არ
არსებობდა დღე, რაიმე საშუალებით არ დაგვკავშირებოდა
ლუიზა ქიტოშვილი, არ შეგვხმინებოდა. ეს იყო გამხსენე-
ბა, შესხენება, რომ არ შეიძლება დაგვბედეთ არავითარ
წინააღმდეგობას, როცა ჩვენ მომავალი თაობის აღზრდა-
განვითარება გვავალია. ყველანაირად ცდილობდა შეშაც
გვეტონდა და ბავშვებისათვის ცხელი სადილიც, თვითონ
გვიგზავნიდა, საკუთარი ოჯახიდან. „აიძულებდა“ მეუღლეს,
რომელიც გიორგიწმინდის მელორეობის კომპლექსის ხორ-
ცის გადამამუშავებელ საწარმოში მუშაობდა, ცოტ-ცოტა
ცხიმი, ხორცი და რძის ფხვნილიც კი ეწილადებინა ბავშ-
ვებისთვის. ეს ის დრო იყო, როცა ყველას თვითონ უჭირდა,
სხვაზე ვედარ ფიქრობდა, მაგრამ ქალი, მეუღლე, დედა, ბებია
ყველანაირად ცდილობდა ეხრუნა იმ ბავშვებზე, რომელთა
მშობლებს იქნებ ვერც კი იცნობდა. მაშინდელმა მთავრო-
ბამ ქალბატონი ლუიზა ღირსების ორდენით დააჯილდოვა,
ეს იყო ღირსეულად დამსახურებული, უამრავი ფიქრისა და
საზრუნავის, გარჯის, იქნებ ზოგჯერ გარკვეულ „რისკზე“
წასვლის საფასური.

დაუდალავი ფიქრით და აქტიური მოქმედებით ქალბატო-
ნი ლუიზა პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციასაც
დაუკავშირდა, რომელმაც თავის დროზე მართლაც სასარგე-
ბლო დახმარება გაუწია ჩვენს საბავშვო ბაღებს, შერჩევით
შემოიტანეს ავეჯი, სათამაშოები, თვალსაჩინოება. მაგრამ
საინტერესო ის იყო, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის
წარმომადგენლები გაოცებული იყვნენ აქ ნანახით და მოს-
მენილით. იქნებ ბევრი მეთოდი სწორედ აქაც ნახეს პირვე-
ლად, და უპირველესად კი - პასუხისმგებლობა მომავალი
თაობის წინაშე.

ბოლო პერიოდში შეიცვალა მუშაობის მეთოდები.
პირველები კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საბავშვო
ბაღებსა და ბაგა-ბაღებში დაინერგა - ინოვაციური მეთო-
დები, ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობა, ინტერაქტიული
მეცადინეობები და ა.შ. სხვა რაიონები თუ ამ სიანხლებს
„სიფრთხილით“, გაუბედავად მოეკიდნენ, ჩვენი რაიონი მათ-
თვის საჩვენებლად იქცა...

დღეს საგაზაფხულო სამუშაო გვემების განხორციელები-
სათვის ზრუნავს ქალბატონი ლუიზა ქიტოშვილი - საგარე-
ჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე
სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა სამსახურის
უფროსი სპეციალისტი, რადგან დღევანდელი მადალ
მოთხოვნებს უყენებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულე-
ბებს - თითოეულმა ბავშვმა უნდა მიიღოს მადალი ხარისხ-
ის სკოლამდელი განათლება, ბავშვი უნდა განვითარდეს
ჰარმონიულად (ფიზიკური, გონებრივი, ემოციური), საამისოდ
კი ხელშეწყობა და მათთვის ოპტიმალური პირობების შე-
ქმნაა საჭირო, მიხეების დასახვა და მათ განსახორციელე-
ბლად რეალურად გადადგმული ნაბიჯები. თუმცა, საქმენი
უფრო მეტს ლაპარაკობენ ქნ ლუიზას ნაფიქრალ-ნაკეთებზე,
ვიდრე თავად, რადგან მას ყოველთვის „ჩრდილში“ დგომა
ურჩევნია და საქმის გულიანად კეთება - ბავშვებისათვის,
იმ მომავალი თაობისათვის, ვისაც მან და მისმა თაობამ
საქართველო და ყველაფერი ტრადიციული, ქართული უნდა
გადააბაროს მომავალში საპატრონებლად.

სადღეს წაკიდა ის ქალი, კინს...

* * *

მარტი მმასპინძლობს,
 თვალთ დამიფენს
 მეფიონს შინდთა,
 ტყემლის სევდიან გამოხედვას
 ქალწულის ღმით –
 ყურს არ მიგდებენ ჩემი მთები,
 ლეგა ალიონს
 ყელზე უწყდება
 ფანტელების კამკამა მიძივი.
 მივეკედლები ხსოვნას,
 როგორც მოხუცს და მიმნდობს,
 ჩუმად დაფჯდები კუთხეში და
 უცრემლოდ ვტირი.
 ხსოვნას ისედაც ყველაფერი აქვს
 ძველებური,
 გულით ვეხები, რაც კი აქვს ძვირი.
 გზა ყველგან მოჩანს,
 მე არ ვიცი საით გავეწიო,
 ლექსი კი მახსოვს ვარდის და
 ხილის,
 გულმა არ იცის რა მაპატოს,
 აქ ყველაფერი არის ძვირი,
 გულზედაც ძვირი.



თამარ ურდულაშვილი,

*პოეტი, იორმუდანლოს საჯარო
 სკოლის ქართული ენისა და
 ლიტერატურის მასწავლებელი*

არ დაწერილა იმდენი სიკვდილზე,
 სიცოცხლეზე, სიყვარულზე,
 არც გმირებზე, არც ომებზე, არც
 ნამდვილ მამაკაცებზე,
 რამდენიც ქალზე...

და რა უნდა თქვა ისეთი, რა ფერიც
 არ თქმულა, რა სიმძვირე არ აქვს
 აღმართი და ფიქრის ნდობა...

და მინც, ქალი ეს არის ყველაფრის
 მარილი და ყველაფრის სულის ძარღვი,
 გულის აღმართი და ფიქრის ნდობა...

როგორია ქალი, როცა იბადება...
 ტირილშივე იწყება მისი სიძლიერე და
 სისუსტე, არც ერთ მამას, რა ეროვნები-
 საც არ უნდა იყოს ის, არასოდეს არ
 სიამოვნებს მისი დაბადება, არასოდეს
 არ უხარია მისი „ქალობა“. გინდ პირვე-
 ლი შვილი იყოს და გინდ მესამე ძმის
 შემდეგ განჩნდეს... ალბათ იმიტომ, რომ
 ის მინც „სხვისია“...

... მერე ეს სხვისი და ყველასი, რო-
 გორც მზე, როგორც წვიმა, როგორც
 გრივანი ისე დაჰყურებს დედამიწას
 და მისი საშოს მარადიული გაზაფხ-
 ული, აბრუნებს დედამიწას, მაშინაც კი,
 როცა ცალ მხარზე გადაიხრება...

ქალი ვიდრე ქალად ჩამოიქნება,
 ქალ-თიხავდება, იმ მიწის სისველე
 ედება სხეულზე, სადაც იზრდება, იმ
 ცის ნათელი ეფინება სახეზე, სადაც
 ღოცულობს, იმ თაფლის სიკვლე და სიკ-
 ეთე მისდევს, რა ტრადიციაც თვალის
 გუგებში. ჩახისხლსაძირკველობს მის
 სამშობლოში.

ქალი ბედნიერია, სამყაროზე უფრო
 დიდია, როცა დედაა, ის უნაწილებს
 გალაქტიკის საიდუმლოს განა შვი-

ლებს, – დედამიწას. მისი ბრალია მარ-
 ტის სიმარტოვე და ოქტომბრის ფერა-
 დი ოცნება სევდის მორევეში...

დედა, ეს არის მარადიული მესხიერე-
 ბა, ეს არის ხიდი ყველა დავიწყებულის,
 სიმართლეში, დაუვიწყარში გადმოსას-
 ვლელი...

დედა, ეს არის სარჩო-საბადებელი
 საცოდავი საქართველოსი, გაჩენის
 დღიდან დღემდე... დედა საქართველო-
 სი არასოდეს არ დგას ფერად-ფერად
 ვიტრაჟებში, არ ზის ფაიტონებში, არა-
 სოდეს არ არის გახვეული დიბა-ატ-
 ლასში...

ქართველი დედა მაგდანასავით მო-
 მუდარეა, ქართველი დედა „თინას
 ლექსურის“ მოცეკვავეა, ქართველი
 დედა ბრძოლისკენ თვალმორჩილულა,
 სულგანათლებულია შვილის ქების ან
 სიკვდილის მოლოდინში.

...ქართველი დედა თავისი მისიით
 ღვთისმშობლის მისიის შემსრულე-
 ბელია, იესო იგივე საქართველოა და
 მისი დედა ნამდვილი ქართველი ქალი
 ცივილიზაციის ამ ეშმაკისეულ გარ-
 დასახვაში ებრძვის არაქართულს, და
 ინარჩუნებს ძველს, მარადიულ ნებას,
 რომელი ნებითაც, რომელი სურვილი-
 თაც, რომელი თუნდაც ბრძანებითაც
 ბრუნავს დღეს დედამიწა!!!

ხოლო ირანში ვინც შიშველი მახას
 არსებობას უძლიერებს, იმ ჩამოსახლე-
 ბული ტომების ნარჩენები არიან, ოდეს-
 დაც რომ საუკუნის სენივით ედებოდ-
 ნენ ქართულ მიწას, ემსგავსებოდნენ
 ქართველებს, ემსგავსებოდნენ და არა
 ხდებოდნენ!!! მათი სისხლის ნარჩენებია
 ძეკვად მოდებული, დღეს გაჭირვებას
 რომ ვერ უძლებს და შვილს პარკში
 ჩასმულს შაჰ-აბასის საჩუქარით
 შენობის რომელიდაც კუთხეში მიაგ-
 დებს. გაჭირვებას ვერ უძლებსო, ანდა
 ასაკის გამო, არამც და არამც!!! მის
 გენეტიკაში ქართული არ დევს და ის
 ვერ გაუძლებს ვერც გაჭირვებას და
 ვერც კაცის სხეულში გადაცემულ ეშ-
 მაკის ვნებას.

ქართველი ყოველთვის ინარჩუნებდა
 უფლის ნებას თავის სისხლში, ტვინში,
 და ხატის წინ ჩურჩულში!!!

ქართველს თავისი დედა ჰყავდა, რო-
 მელიც ქართულ საძირკველში მამის
 სულიერი განსხეულება იყო. ზრდიდა
 მარადიულობის ღირსებას ქართველი
 ერისას.

დედაც საქართველოსავ, სულო ვა-
 ხისავ და სხეულო ტაძრებისავ, რაც კი
 აუცილებელია ამ მიწაზე, დიდება გამძლეობას
 შენსას უშჯულოებასა ზედა!!!

* * *

ჭირვეულ დღეებს
 დამშვიდების ცრუ ნაპირები
 მოჰყვა დახრილი
 ცრემლი გამიშრა,
 მკერდი მეწვის ია-იებად.
 – დედობას გთხოვო!
 მეუბნება ქალი, რომელიც
 ორჯერ დაესწრო დაბადების
 ბედნიერებას.

გავცქერ ვერცხლისფერ მღუმარებას,
 ხეებს – სევდიანს.
 თვალები თვალებს არ ეძებენ
 აღარ ებრძვიან.
 და გული არვის აღარ ელის
 სინჰემის მალვით.
 და ყველაფერი თურმე ბედია,
 თუნდაც ჩაგლილი...

* * *

ამ სათოველში მოსულ იებს
 ძილი გაუერთათ.
 თოვს ისე უხმოდ,
 გაოცებაც აღარ ნებდებათ.
 თოვლი დღითიდღე
 ღამაზდება, მშვენიერდება,
 თოვს უსასრულოდ, უპასუხოდ.
 არა თავდება, არ იკრძალება.
 ასე ბნელდება, ასე თენდება
 ამ მარტს რა ვკითხო,
 რა ეშველება?!



ღელს უპილოტო



ამ წუთის ვამე...

მისი რომი ჭიჭინის წილს, გინამხვთ ფუჭი?
 რა ნეფაჩეპათ უთაჩინს წიყული!
 ღელს-ბიჭვი რომი მარტყუქანს აქეჩეპანს,
 მუღე ენტყანლალ აჩინს მწყელი.
 რეფა ღაგარტყულიანს მარტყანს ანულოთანს,
 ღაძინს ნიგაყინს მუღაჩეფა ძაღლი,
 მუღანს ნიხანტყულიანს მარტყაღ ძაღულიანს,

მუღნიეჩეპათ ღა მუღით ღაღლილანს.
 აჩინს წიყა წიუთაღ, ღეფაეჩეპე მარტყელიანს,
 იგი მუნეპინს წიყა მუღეფეჩინა -
 მარტყა რომი მუღანს წილს - მუღელი მწალი
 ღეფაჩემიარტყელიღით მმუენიეჩინა.
 ამ წიუთანს მადი ღაღლას ღინამხვ,
 მუღე ხეძი ნიგაყა მუღმწა მარტყაღლალ:
 - უფაღაო, ამ ღაღლანს უფაღაო მარტყაღანს
 ღა ამ ღაღლანს უფაღაო მარტყაღანს, უფაღაო!

იმ ლამაზი წლების ბახსენება

მარცვალ-მარცვალ ღარიბებულ სიტუა

დიახ. ისევ მოვიდა იის სურნელით გაქვნილი გაზაფხული, მისი პირველ ნაბიჯთა სუნთქვა შეიგრძნობა ყველგან და ყველაფერში. ბუნება იღვიძებს, სიცოცხლე თავიდან იწყება.

ო... რა საოცარი მსგავსებაა გაზაფხულსა და სკოლამდელ დაწესებულებებს შორის, რამეთუ სწორედ სკოლამდელ დაწესებულებებში ძალუმად შეიგრძნობა მაჯისცემა ხვალისდელი საქართველოსი – სიცოცხლის ყვევილების, პატარა გოგო-ბიჭების სახით. სწორედ ამიტომ დღეს განსაკუთრებით მინდა მოვეფერო საგარეჯოში ყველასათვის კარგად ცნობილ დიდებულ ქ-ს, დიდ პედაგოგს, საქმიან, მაღალინტელექტუალურ, გამორჩეულად ნიჭიერ ორგანიზატორს, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ყოფილ გამგეს და შემდგომ ლოგოპედს ქნ ლამარა გოდერძიშვილს, რომელიც თავისი 50 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე განსაკუთრებული წარმატებით, ჩუმიად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ ემსახურებოდა ამ ქვეყანაზე ჩემის აზრით ყველაზე ამაღლებულ და ლად საქმეს, რასაც პატარა გოგო-ბიჭების აღზრდა ჰქვია. სწორედაც ამ სინუემში დღესაც ხმაურობს მის მიერ ნაკეთები საქმის სიდიადე. მან ფაქტობრივად განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა საბავშვო ბაღის მუშაობის ფორმები და მეთოდები. მის მიერ წარმატებულ საქმიანობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და სხვა მრავალი სიგელებით.



ქნი ლამარა
შვილთან ერთად

ქალბატონმა ლამარამ 50 წლიანი პედაგოგიური მუშაობის მანძილზე მაქსიმალურად მოახმარა თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები შრომითი საქმიანობის სწორედ იმ უბანს, სადაც ის ყველაზე წარმატებული და სასარგებლო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის, რამეთუ მოტივი მისი ყოველდღიური მოქმედებისა პატარებზე ზრუნვით იყო განპირობებული. იგი ცდილობდა და ყოველთვის აღწევდა კიდევ მიზანს – შეექმნა პატარებისათვის სრულყოფილი, ხალისიანი, ემოციურად მდიდარი ბედნიერი ბავშვობა.

ქალბატონი ლამარა არა მარტო თვითონ, არამედ მთელი მისი ოჯახი ქველმოქმედების „სენით“ იყვნენ შეპყრობილი. არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ მისი მეუღლის ბ-ნ გოგი ოსტიაშვილის დეაწლი საბავშვო ბაღის მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. მის მიერ ნაკეთები საქმის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ დღესაც მის მიერ საბავშვო ბაღის ეზოში შექმნილი ზღაპრული გარემო (ატრაქციონების სახით), კვლავაც იზიდავს, ხიბლავს პატარებს და დადებით ემოციებს აღძრავს მათში. ვინ იცის კიდევ რამდენ თაობას მოემსახურება ქალბატონ ლამარას ოჯახის მიერ გაწეული სიკეთე.

აღსანიშნავია, რომ ბ-ნ გოგის აქტიური თანადგომა საბავშვო ბაღისადმი ქველმოქმედებასთან ერთად, თავისი მეუღლისადმი ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემის გრძნობაც განაპირობებდა. და რადგანაც ღმერთმა ინება და ისევ მობრძანდა სინათლით, მზით, იმედებით სავსე გაზაფხული – მინდა დიდი სიყვარულით, უდრმესი პატივისცემის გრძნობით ფეხზე დავუდგე და რაიონის პედაგოგიური საზოგადოების სახელით მადლობა მოვახსენო გაწეული დეაწლისათვის შეუდარებელ ქალბატონს, განუყოფრებელ დედას და მიუფლოცო ქალთა დღესასწაულები – დედის დღე და 8 მარტი.

მადლობა თქვენ ქალბატონი ლამარა – ვინც მარცვალ-მარცვალ დაარიგეთ სიტობო და სიყვარული, ვინც ცხოვრებაში გასულ ახალგაზრდებს საგზლად გაატანეთ სისპეტაკე და კაცურკაცობა, ჩვენ კი თქვენი ყოფილი კოლეგები კვლავაც თქვენს ნაკვალევს, ნაბილიკებს მიყვებით და ვცდილობთ თქვენს მიერ ლიბონაყრილი ტრადიციები ღირსეულად გავაგრძელოთ.

თქვენი კოლეგა და მეგობარი
თამარ გოცირიძე,

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ლოგოპედი.

ბავშვს გული უნდა არუყო



ერთადერთი რელიგია ქრისტიანობის შემდეგ, რომელიც გეწამს, არის სიკეთე და სიყვარული. ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვიღვართ და მუდამ ბავშვობას მივტირით, გვენატრება ჩვენი ცხოვრების უზრუნველი ხანა. პირველხარისხოვანი მაინც პატარა არსების ფეხისადგმისთანავე განვითარებისათვის ზრუნვაა. ამგვარი ზრუნვა კი, რა თქმა უნდა, ყველას არ შეუძლია.

პედაგოგის სახე, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, ზემონათქვამის გამოხატულება იქნება. ქალბატონ თამარ გოცირიძეს წარდგენა არ სჭირდება მკითხველის წინაშე. იგი მრავალი წელია ამ მეტად რთულ, მაგრამ მისთვის საინტერესო პროფესიას ემსახურება. მისთვის ღმერთს უხვად გაუმეტებია პედაგოგის თვისებები: მცოდნე, ტაქტიანი, ბავშვების მოსიყვარულე, მის იერ-სახეში იგულისხმება ცოდნა-განათლება, ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება, თავის დაჭერა საზოგადოებაში, ნაცნობებთან კავშირი და სხვა. თამარს აქვს უნარი „დაინახოს და იგრძნოს ბავშვის სული“. მრავალი წლის გამოცდილებიდან იცის, რომ ბავშვი განუმეორებელი ინდივიდია, ერთმანეთისგან განსხვავდება ტემპერამენტით, ემოციებით, რეაქციით. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ბავშვებში ერთი და იგივე მიღვომა არ იძლევა დადებით შედეგს. ბავშვი ხომ სარკეა, რომელშიც პედაგოგის ბევრი თვისება ირეკლება, ეს ქალბატონმა თამარმა კარგად იცის და ცდილობს წინასწარ შემუშავებული საინტერესო გეგმით იმუშაოს პატარებთან. შედეგიც სახეზეა – ცეროდენები გულწრფელი სიყვარულითვე პასუხობენ მას. მე ხშირად ვეკითხები თამარს – როგორ

დასასრული მე-10 ვკვრდზე

მარადიული სიყვარულის უკვდავსაყოფად

ბივი ლაბახიშვილი

ქსეპს



მარტი მივულოცოთ დედებს, 8 მარტს კი ყველა ქალს შევხვდებით, სიყვარული და შენი სურნელი ვაჩუქოთ ყველას!

მაგრად ჩასტიდა ხელი მარტმა გაზაფხულს და გზისკენ უბიძგა.

მას შემდეგ ასე განუყრელად არიან ერთად გაზაფხული, მარტი და დედა...

სამივე ერთად ერთი მცნებაა მგონი – თბილი, ტკბილი, მომავლის საძირკველი...

ყოველთვის ზეიმით, იმედით და სიხარულით შემოდის მარტი, თუმცა მასვე მოაქვს უსაზღვრო სევდა და მონატრება იმ ქვეყნად უდროოდ წასული ახლობლებისად.

... ცვალებადია მარტი.

მოულოდნელად გაშმაგდა, გაჭირვებულდა, თითქოს რაღაც აკლდა მის ბედნიერებას და უმად მიხვდა... მან სასოებით შეხვდა მზეს.

უსიტყვოდ მიუხვდა მანათობელი. თანადგომა სჭირდებოდა მარტს.

... მზემ გულიანად გაიცინა და მცხუნვარე სხივები სიყვარულით, უხვად გადმოაყარა დამზრად დედამიწას, ჩასწვდა გულისგულს, ძლიერ გაათბო და მაშინ, მიწიდან ამოხეთქა ბლუჯა-ბლუჯა ლურჯთვალა იამ, თეთრმა ენძელამ და ნიორფერმა ფურისულამ, მოედო ყველა კორდსა თუ ბუჩქს, თოვლი ნაკადულად დაიძრა და თან წამოიღო საამო, სურნელოვანი ჩურჩული: „ჩვენ მიწის გულიდან გამოგვგზავნეს მარტის მოსალოცად, ქალისა და დედის მარადიული სიყვარული უკვდავსაყოფად“.

მზია ლარბაიშვილი

თქვენ ამ ქვეყანას გვიმშენებთ, უცხო და სანეტარენო, ამ მზისქვეშეთის მზეებო, სიცოცხლის აღამდარებო! სანუკვარხო და საფიცნო, ცხოვრების თვალის ჩინებო, უკვდავებისა წყარონო, ზღვის ტალღად მოლივლივენო, ზეცაში ალვათ ასულნო, დედებო, დებო, ასულნო! თქვე უცხო ნატვრისთვალეპო, იაგუნდო და ლალეპო, თქვენი მადლი და ამაგი რა ხელმა უნდა აღწეროს?! ღმერთს თქვენზე დაუბერტყია თავისი კალთა მადლისა, მამულთან წილნაყარია მანდილი, ძუძუ ქალისა! უფალს მადლობას მივუძღვნით ბნელს რომ გვინათებთ ჟამისა, დაგლოცავთ, მოგეფერებით, იმედები ხართ ხვალისა!

ძალუმად ვეთქავს აცრემლებული გაზაფხული.

დაიგვიანა... ძლივს გამოაღწია ყინულის მბრწყინავ, ბროლის სასახლეს.

ჩქარობს... მას ხომ მოუთმენლად ელიან ხანგრძლივი, სუსხიანი ზამთრით შეწუხებულნი. იგია ქვეყნის გადამრჩენელი, იმედი ადამიანის.

– მარტო, არ დამტოვო მარტო, ერთად წაიდე! – გასძახა გაზაფხულმა წინ მიმავალ, უზარმაზარი თაიგულით დამშვენებულ მარტს და ნაბიჯს აუჩქარა.

მარტს შემოესმა გაზაფხულის ხმა. შედგა, შემობრუნდა და მოთმინებით დაელოდა; თაიგული სათუთად გაყო ორად და გულამოკარდნილ თანამგზავრს ღიმილით გაუწოდა.

– ნუ გეშინია, მოვასწრებთ! ჯერ 3

ბავშვს გული უნდა აჩუქო

ღასასრული

ახერხებს რომ ზომიერებას არ კარგავს ასეთი ცელქი ბავშვების გარემოცვაში? მისი პასუხი კი ყოველთვის ერთია: – თუ გინდა რომ ბავშვს უყვარდე, უნდა აჩუქო გული შენი.

ხშირად ჩვენს ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა ძალიან, ძალიან გვჭირდება ადამიანი, რომელსაც გაენდობი, ნაფიქრსა და ნაოცნებარს გაუზიარებ და შევბავს იგრძნობ, ასეთ შემთხვევაში ჩვენდა სასიხარულოდ გვევლინება თამარ გოცირიძე, რომელმაც ისურვა: ღმერთმა მოგცეს რწმენა, – რომ ვიარსებოთ, თავს ძალას დავატანოთ, რომ ყველაფერს იმედიანად ვუჭუროთ. ჩვენ უფლება არ გვაქვს თავს ნება მივცეთ, პატარებს ყოველი დღე არ გავუხალისოთ და ვეცდებით თავი არ დაგზოგოთ, რომ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში სიცოცხლე არ დუღდეს, პატარების ჟრამული არ ისმოდეს.

ბობინო ძარხაშვილი,

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი



ყველა სარუშარზა ძვირფასი — ყვაპილეზი

ნელი ყანაშვილისა და ჯემალ ბურჯანაძის წყვილი ერთ-ერთ კოლორიტულ წყვილად რჩება საგარეჯოელთა მესხიერებაში. ასეთი წყვილი, შესმატბილებული მეუღლეები, „შეფერებულებით“, როგორც კახელებმა ვიცით თქმა, ალბათ, იშვიათობას წარმოადგენდა მაშინაც და ახლაც. ბ-ნი ჯემალი ყოველთვის თავშეკავებული, გაწონასწორებული, მორიდებული, სერიოზული, მაგრამ ძალზე გულწრფელი, მეგობრებთან მომღხენი, იუმორით სავსე, ხელოვნების მოტრფიალე და თავად ხელოვანი – ქართული სიტყვის, ქართველკაცობის, ერთგულების და ადამიანობის. ქ-ნი ნელი მუდამ კომუნიკაბელური, ღიმილიანი, პერიოდებში გარდამავალი იუმორით, სხვებზე მზრუნველი და ორივე ერთად კი მიმზიდველი, საინტერესო. მათ სიმღერას კი არაფერი სჯობდა – ერთ მილიანობაში კი იყო სიცოცხლის, სიხარულის მუხტის მომცემი წყვილი.

– ქ-ნი ნელი, პატარა ექსკურსი მოვახდინოთ თქვენს საგარეჯოში მოღვაწეობის დაწყებისა...

– 53 წელია ვმუშაობ სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად. 1959 წელს მე და ჩემი მეუღლე დაქორწინდით და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილებით წავვედით რაჭაში – ონში. მე – სამუსიკო სკოლაში, ჩემი მეუღლე ჯემალ ბურჯანაძე სკოლაში და კულტურის სახლში.

1962 წლიდან რაიკომის მდივნის მედეა მეზურიშვილის თხოვნით ჩამოვედით საგარეჯოში და დავიწყეთ მუშაობა – მე მუსიკალურ სკოლაში და ჩემმა მეუღლემ სკოლასა და კულტურის სახლში. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სასწავლო ნაწილის გამგედ, ჯემალი კულტურის განყოფილების გამგედ, შემდეგში ჯემალი თითქმის 22 წელი გარდაცვალებამდე მუშაობდა სკოლის დირექტორად – მე კი პედაგოგად დღემდე. მონაწილეობა მაქვს მიღებული როგორც ადგილობრივ, ისე გასვლით კონცერტებში, ასევე რესპუბლიკურ კონკურსებში, მიღებული მაქვს მადლობები, სიგელები კულტურის სამინისტროდან, ადგილობრივ ხელმძღვანელობისგან, სკოლის დირექტორისგან.

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელთან დაკავშირებით, მადლობის, მილოცვის სიგელი და ფასიანი საჩუქარი სახეიმოდ გადმომცა ჩვენი რაიონის გამგებელმა ბ-ნმა ვია ჩალათაშვილმა. ის დიდ პატივს სცემს ხელოვნებას, იცის ჩვენი სპეციალობა რამდენად შრომატევადია და ჩემი მრავალწლიანი

მუშაობა ბავშვებთან არ დატოვა უყურადღებოდ. უღრმესი მადლობა ბ-ნ ვიას. ასევე მილოცვის სიგელი გადმომცა კულტურის ობიექტების გაერთიანების სამსახურის უფროსმა ბ-ნმა ბესიკ ღვინაშვილმა და სკოლის დირექტორმა ქ-ნმა ლია ბურჯანაძემ.

– თქვენ ბევრ საგარეჯოელ ბავშვს გაუღვივეთ მუსიკისადმი სიყვარული, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სამუსიკო სკოლაში მოსვლა არც უნდოდათ, მაგრამ თქვენთან შეხვედრის შემდეგ, თქვენმა ტაქტმა, მოთმინების უნარმა ბევრი ბავშვი შეძლევ მუსიკის შემსრულებლად ჩამოაყალიბა. თუმცა, არც იუმორი ჰკლებია თქვენს ურთიერთობებს მოსწავლეებთან. ისიც ვიცით, რომ ყველა საჩუქარს ყვავილები გირჩევენით და თანაც ბავშვებისგან – იის პატარ-პატარა კონები...

– დიას, მყავს უამრავი ნამოწაფარი, რომლებითაც ვამაყობ და დღესაც კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. საამაყოა ჩემთვის ისიც, რომ ჩემი და ჩემი მეუღლის ბევრმა ნამოწაფარმა სწავლა გააგრძელა საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში და პედაგოგებად დაგვიბრუნდნენ საგარეჯოშიც და სხვადასხვა რაიონებში.

წლების განმავლობაში ჩვენს სკოლაში მუშაობდნენ ჩვენი ყოფილი მოსწავლეები: თინა როსტიაშვილი, ნატო კვეხერელი, ნუნუ ვარაზაშვილი და სხვები ამჟამადც მუშაობენ ლია ბურჯანაძე, დინარა ბურჯანაძე, ნინო ოსიყმიშვილი, რაიმონდა ჭიაურელი, ნათია მარტიროსოვი.

ჩემმა მოსწავლეებმა ყველამ იციან და იცოდნენ, რომ ძალიან მიყვარს ყვავილები, დღესაც შემოირბინა ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ გიორგი ჭიაბერაშვილმა და მომიტანა პირველი მახარობელი გაზაფხულისა ია და ენძელა თავის ხელით დაკრეფილი.

რვა მარტთან დაკავშირებით მოვიყვებით ერთ კურორტს მოსწავლეებთან დაკავშირებით.

გასულ წლებში მყავდა მოსწავლე ლევან ქვლივიძე. მიცემული მქონდა ბახის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდებოდა თითქმის შავ კლავიშებზე. მოვიდა ბავშვი გაკვეთილზე, დიდი იების კონა მომწოდა და მომილოცა 8 მარტს. დაჯდა ფორტეპიანოსთან და დაიწყო დაკვრა, უკრავს სულ თეთრ კლავიშებზე ვეუბნები: – ლევანი, რას შერები, ეს ხომ შავ კლავიშებზე უნდა დაუკრა, შენ კი თეთრ კლავიშებზე უკრავ, რატომ, რა ვერ გაიგე? პასუხი: მასწავლებელი, როგორ ვერ გავიგე, მაგრამ გუშინ მთელი დღე იების საკრეფად ვიყავი, რომ გა-



მეხარებიანო, ხოდა, ვერ მოვასწარი, ძნელია, ჯერ თეთრ კლავიშებზე ვისწავლე, მერე კი სავ კლავიშებზე ვიმეცადინებ.

– კურორტები სხვებიც გქონიათ, მოდი, გაიხსენეთ ჩვენთან ერთად...

– ჯემალის სამეგობრომ გადაწვიტა მეუღლეებისთვის პატივი ეცათ და ყველა ოჯახში ყოველ წელს ეხეიმათ 8 მარტი. გადაწვდა, რომელ ოჯახშიც იხეიმებდნენ თამადა იმ ოჯახის დიასახლისი იქნებოდა.

მე მგონი პირველი შეკრება ჩვენს ოჯახში გაიმართა. მოვიდნენ: ომარ გოცირიძე, მარატ პიტიურიშვილი, გოგი შაქარაშვილი, ვალიკო და ოთარ თათრიშვილები, ვაჟა ქაიხოსროშვილი, ნოშრევან თაფლიაშვილი და სხვები. თამადა, რა თქმა უნდა, მე ვიყავი. სასმელს ვერ ვიტან, ამიტომ ქალებთან დავაწყე ლურჯი ჭიქები, რომელშიც არ ჩანდა, შიგ ღვინო იყო თუ წყალი. მთელი სუფრის განმავლობაში ვთამაობდი ბორჯომის წყლით. კაცებს კი ვთავაზობდი სხვადასხვა სასმისებს. ყველა გაეთიშე, მათ შორის მარატ პიტიურიშვილიც, რომელიც გახსოვთ ყველას ჯობნიდა ღვინის სმაში. ზოგმა სკამზე მიიძინა, ზოგი ტახტზე მიწვა, მოკლედ, მაგრად დათრუნენ. მეორე დღიდან ჯემალს ყველას დასცინოდა თუ როგორ დაათრო ყველა მისმა მეუღლემ, რომ ერთმანეთს ვეღარ სცნობდნენ კაცები, თამადა კი ამდენი დღეის შემდეგ მთლად ფხიზელი იყო.

– რას უსურვებდით ქალებს?

– ქალებსთვის რვა მარტი ღირსშესანიშნავი თარიღია, რვა მარტის მილოცვა ყველა მდებრობითი სქესისაა – ეს იქნება ბავშვი, თუ ახალგაზრდა, შუა ხნის თუ ხანშიშესულის, წარჩინებულის თუ უბრალო ადამიანის; ამიტომ ყველას ვულოცავ, ვუსურვებ ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას, მშვიდობას ქვეყანაზე, უღრუბლო ცას.

გვარავდეთ უფალი!

თინა ილაური,
ბიზი ლაბახიშვილი

ქართულ ფესვებთან

~ ქალნი – კეთილად მომღერალნი ~

ქართული ხალხური სიმღერა და ქართველი კაცი ერთად მოდიან საუკუნეების განმავლობაში. სიმღერა ჩვენთვის ხან სვედის გამოხატვა იყო, ხან სადიდებელი ჰიმნი, ხან კი გრძობათა მოზღვაება.

ამიტომ, ვისაც სურს, ღრმად ჩასწვდეს ქართველი ხალხის აზრს, გონებას, გრძობას, ფიქრსა და მისწრაფებას, ხალხურ სიმღერას უნდა მიმართოს – ჩვენი სულიერი სამყაროს სიდიადის ამ უტყუარ საზომს.

სწორედ, ქართული ხალხური სიმღერებით მსმენელის დამტყვევებელ სახალხო ანსამბლ „ჩინარის“ შესახებ უნდა გიამბოთ:

ამ ანსამბლს იცნობს რაიონის, ქვეყნის, მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოება, რადგან:

„ჩინარი“ გახლავთ მსოფლიოს ახალგაზრდობის მუსიკალური ფესტივალის „ვერცხლის სიძების“ დიპლომის მფლობელი;

„ჩინარს“ მინიჭებული აქვს სახალხო ანსამბლის წოდება;

„ჩინარის“ იაენანა შესულია მსოფლიოს საუკეთესო იაენანების ოცეულში;

„ჩინარის“ სიმღერები, ოცდახუთი წელია, ისმის საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით;

„ჩინარის“ შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციამ;

ანსამბლის ხელმძღვანელს ქნ ნელი გულიკაშვილს გამოცემული აქვს სიმღერების კრებული;

ანსამბლის შექმნის დღიდან მათი წარმატებების შესახებ იბეჭდება რაიონულსა თუ რესპუბლიკურ პრესაში.

რამდენიმე წლის წინ, ცნობილი მიხეხების გამო, „ჩინარმა“ შემოქმედებითი საქმიანობა შეწყვიტა, მაგრამ გოგონებს ერთმანეთი არ დაუკარგავთ. რაიონში ახალი ხელმძღვანელობის მოხელისთანავე დადგა საკითხი – ანსამბლს განეახლებინა საქმიანობა. დაიწყო რეპეტიციები...

2011 წელს „ჩინარს“ 25 წელი შეუსრულდა!

ამასთან დაკავშირებით, ანსამბლმა რაიონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ცენტრში კონცერტი გამართა. მას ხალხურ სიმღერაზე შეყვარებული მაცურებელი დაესწრო, რომელიც მონატრებული და აღფრთოვანებული შეხვდა შინდისფერ, ქართულკაბიან ნატო ხალიკანინს, ნინო ტივინაშვილს, თეა ქოქრაშვილს, მანანა კუმელაშვილს, შორენა ლევაშვილს, მაია ფანოზიშვილს, მარინა ურდულაშვილს.

სასიხარულოა, რომ ანსამბლს შეემატა ნიჭიერი თაობა: ნელიკო გულიკაშვილი, დიანა კონინაშვილი, გვანცა დაფერიშვილი, თენია გივიშვილი, სოფო ამირეჯიბი, მარი გილაშვილი. იმედია, ისინი წარმატებით გააგრძელებენ ანსამბლის ტრადიციებს.

საიუბილეო კონცერტი ორნაწილიანი გახლდათ (ფოლკლორი და ლირიკული სიმღერები: „ჯვარი წინასა“, „ხევსურუ-

ლი ნანა“, „ნარდანიანა“, „ალაზნი სპირული“, „იაენანა“ და სხვა. „ჩინარის“ რეპერტუარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სიმღერაა წარმოდგენილი. გოგონებმა თავიანთი ტკბილი ხმებით მართლაც დაატყვევეს მსმენელი აჭარული, იმერხეველი, მეგრული, თუშური, ხევსურული, ქართლ-კახური სიმღერების მოსმენისას.

კონცერტის მეორე ნაწილში მაცურებელმა ლირიკული სიმღერები მოისმინა, რომლებიც თავად ნელი გულიკაშვილმა გარეჯელი პოეტების: ნოდარ დიდმელაშვილის, ვენერა მამისაშვილის, ზაურ სვანიძის ლექსებზე დაწერა. „ჩინარმა“ შეასრულა აგრეთვე კომპოზიტორების: ნოდარ გიგაურის „ძველი ჰანგი“, ჯანსუღ კახიძის „იაენანა“, გიორგი ცაბაძის „რად მომიგონე“ და „მთვარე“. ტკბილხმოვანი სიმღერებით მოხიბულ მაცურებელს კონცერტის დასასრულს თითქოს ეძნელებოდა დარბაზის დატოვება.

ისინი შემოეხვივნენ ანსამბლის ხელმძღვანელს, ქნ ნელი გულიკაშვილს, ღირსების ორდენის კავალერს, რესპუბლიკისა და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატს, მართლაც ღირსეულ მამულიშვილს, ულოცავდნენ, ეფერებოდნენ, ყვავილების თაიგულს ჩუქნიდნენ, ემადლიერებოდნენ ამ ლამაზი კონცერტის გამართვისათვის და კიდევ იმისათვის, რომ, 25 წელიწადია, ანსამბლი შეხმატკბილებულად არსებობს, რისი საფუძველიც ურთიერთპატივისცემაა.

მართლაც, ანსამბლის წევრთა უმეტესობა დაოჯახებულია. ძალიან კარგი მუდღეობისა და შვილების პატრონები არიან. ხშირად უთქვამს ქნ ნელის: „ჩემი სიძეები“ ხელოვნების, სილამაზის მოყვარულები არიან, პატივს სცემენ და აფასებენ ყველაფერ ქართულს და რომ არა მათი შეგნებისა და კულტურის მაღალი დონე, ჩვენ წარმატებებს ვერ მივალწევდითო“.

ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ კონცერტზე ქნმა ნელიმ, ახლა უკვე ჩინარელების ახალ თაობასთან ერთად, კიდევ ერთხელ გვაზიარა ზღაპრულ, მომაჯადოებელ ქართულ სიმღერასა და ქართულ ხმას, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა ხალხური სიმღერისადმი



უდიდესი სიყვარული.

აი რა თქვა თედო ნიკოლაიშვილმა, გახეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფოტორეპორტიორმა კონცერტის შემდეგ: „ჩინარის“ კონცერტი რამდენჯერმე ტელევიზიით ვნახე. აღფრთოვანებული დავრჩი. ოცი წლის წინ, მთის სოფელ კოჭბანში, ნელის მიერ ჩატარებულ საქველმოქმედო საღამოს დავესწარი. ეს საღამო ცხრაწვილიანი, დარიბი ოჯახის დასახმარებლად გაიმართა. მაშინ ჩინარელებმა საჩუქრად იმ ოჯახს ათასი მანეთი ჩამოუტანეს, დარბაზშიც შემოწირულაობით დაახლოებით ადენივე შეგროვდა და გოგონებმა თანხა იმ გაჭირვებულ ოჯახს გადასცეს, რომლითაც მათ ერთი ზამთარი გადაიტანეს.

ფოლკლორის მცოდნეებმა იციან, რომ ლექსს, პირველ ხანებში, მხოლოდ სასიმღერო ხასიათი ჰქონდა. სიმღერის რიტმი განსაზღვრავდა ლექსის რიტმს. სახელწოდება „მგოსანიც“ პირველად მოსიმღერეს ნიშნავდა, რომელიც ამასთან პოეტიც იყო.

სულხან-საბა ასე განმარტავს ამ სიტყვას: „მგოსანი – ვაჭი და ქალნი კეთილად მომღერალნი ხმითა სა-მუსიკოთა“.

რაოდენ ამართლებენ ჩინარელები ამ ნათქვამს: „ქალნი კეთილად მომღერალნი“.

რაოდენ უხდებათ სახელიც „მგოსანი“, როცა ვაჟაკობისას და კაიყობის სადიდებელს მღერიან და მსმენელს ემოციებისაგან ღამის „სისხლს უყინავენ“ ძარღვებში.

რაოდენ ამართლებენ ჩინარელები ამ ნათქვამს:

„ქალნი – კეთილად მომღერალნი“.

ლელიკა არჩემაშვილი



ჩემი მასწავლებელი

~ ადამიანი – სიყვარული ~

პირველად მაშინ ვნახეთ, როცა მეს-
მეტე კლასში ახლადწამოწიებული
ბარტყებივით ჯერაც უცხო გარემოში
აღმოჩნდით და მოუთმენლად ველო-
დით ახალ აღმზრდელს, მფარველს,
მიმართულების მიმცემს, ახალ მასწავ-
ლებელს...

პატარაობიდანვე განსაკუთრებული
გრძნობები გამიჩნდა ცისმარი მას-
წავლებლის მიმართ. ქალი – მკაცრი,
შეურყვეველი, მაგრამ საკვირველად
გულჩვილი, ძლიერი, დიდი ტკივილის
დამთმენი, მაგრამ საოცრად მგრძნობი-
არი.

ჩვენს დროში და საერთოდაც, რთუ-
ლია ადამიანში გაცნობისთანავე
დაინახო დადებითი. როგორც წესი,
უარყოფითი თვისებები ყვირიან ხოლმე,
უმეტესწილად. მაგრამ, თუ ადამიანში
დიდი სიყვარულია, თუ ღვთის ხელია
მასთან არ შეიძლება დიდებულმა ხი-
ბლმა არ მიგიზიდოს, არ მოიხვეჭოს
სხვათა ყურადღება, მოკრძალება, პატი-
ვისცემა, მეგობრობა, სიყვარული. როცა
ადამიანიდან დაუღვეველი სიტბო იღ-
ვრება, ჩვენში გულგრილობა უძღურ-
დება და მთელი ძალისხმევით, ცნობით
თუ შეუცნობლად ამ ხელთუქმნელი
სიტბოსკენ ვიღვტვით. სწორედ ასე

ხდება ცისმარი ტოპემაშვილთან. როცა
მასთან ხარ, დიმილი გიხდება, სული
თხოულობს საუბარს, ახალს შეიცნობ,
იზრდება შენი ცნობიერება და ზნეობა.
განა ის ყველაზე უკეთესია? – არა, მა-
გრამ მასშია დიდი შინაგანი სიყვარ-
ული, მრავალმხრივი, დაუზოგავი და
ეს ჰგერის მას განსხვავებულობას და
საოცრად დიდ ხიბლს.

საერთოდ, უცნაური ხალხია ეს მას-
წავლებლები. გაგიუებით უყვართ თა-
ვიანთი პროფესია და განსაკუთრებით
ცისმარი მასწავლებელს. სწორედ ამ
სიყვარულის, გონიერების თავდაუზო-
გავი შრომის და უფლის ნების შედე-
გია, რომ მას ასე ოსტატურად შეუ-
ძლია შეგვაგრძნობინოს სიტყვის ძალა.
ამოგავსსნევეინოს ტაეპების ხლართები,
ქარაგმების შინაარსი და რაც მთა-
ვარია ის, როგორც ყველა ნორმალური
მასწავლებელი, სწორი მიმართულების
მიმცემია.

ცხოვრებაში, რამდენადაც მე ამ გა-
დასახედიდან მესმის, რთულია ადა-
მიანის ბოლომდე გაცნობა, მისი სუ-
ლის დანახვა. მაგრამ ჩვენ, ყველა, აგერ,
„ვერ შემძლებელი ვართ“ ვერ დავინ-
ახოთ ცისმარი მასწავლებლის სიკ-
ეთე, სიქველე, გონებრივი საზრდოს
დაუნახებლობა.



ხშირად ადამიანები თავს არასწო-
რად ვაფასებთ. ეს ჩვენი უმეტრებისგან
მოგვდის. თავის შეცნობის საუკეთესო
გზა – თავმდაბლობაა, რის დიდებულ
მაგალითსაც თავად გვაძლევს...

როგორც წესი, ბევრი ლაპარაკი არ
შეიძლება, მაგრამ მიყვარს და რა
ვქნა? საერთოდაც მე არავინ ვარ, რომ
ადამიანებს ვაფასებდე... და მაინც, მე
მწამს, რომ ცისმარი მასწავლებელი
არის „ადამიანი – სიყვარული“, დირ-
სეული დედა, კარგი მასწავლებელი,
რომლისგანაც, თუ მოინდომებ, არაჩვეუ-
ლებრივად ისწავლი სწორ აზროვნებას,
მოვლენების სწორ აღქმას, შეფასებას,
უბრალოდ – ცხოვრებას.

ნატო ონაშვილი

*საგარეჯოს II საჯარო სკოლის XI
კლასის მოსწავლე*

გვეთი ჟურნალს

* * *

ქვეყანავ ჩემო, ერო ვნებულო,
შენ დიდებულო, თან წამებულო.
რჯულწამხდარ მტერზე

გამარჯვებულო,

ახლაც საავდროდ დადუმებულო...

რამდენჯერ წაგრყვენს, გგლიჯეს,

დაგხიეს.

ჭაპანი მაინც მტკიცედ გასწიე!

აქ მოუთვლელი სისხლი დასთხიეს.

დიდება ღმერთო, რომ არ გაგვწიე!

ჩვენ გავეუძელით შუბებს, მახვილებს,

ბორბალზე გაკვრას ცხებულის

მადლით.

თუ ყველა ჭკუას გაიმახვილებს,

კვლავაც გავეუძლებთ, რწმენით

და სანთლით!

ოჰ, რა რთულია, სამშობლოვ ჩემო,

ბინძურ წყვიდადში სიტბოს ძიება!

გარეთ რას დგახარ, სიკეთევე, შემო!

დაიყვავილონ ისევე იებმა.

ამაო სვედით გულშემოყრილებს

თვალებს გვიხვევენ ბოროტის

ძალით.



ღმერთო, გვისმინე ხელაპყრობილებს,
დაეცი ბნელი მართალი ალით!

ზამთარი ყინავს ქართველთა

გულებს.

იმედი მაინც კიაფობს ლაპპრად!

ის, კინც ბოლომდე მტკიცედ

გაუძლებს

არ დაეღვეა მადლი იმქვეყნად!

ნატო ონაშვილი

სული...

სიცრუის ტყეში შევიდა სული
სიმართლისაკენ გზას ეძიებდა.
საწუთროს ზიზღით

მრავალტანჯული
ახლა საკუთარ ცოდვებსვე ვნებდა.

პატარა ხალხი მჭახე ყვრილით,
ღმერთზე ურიდოდ სიტყვებს

ამბობდა.

ცრუ სიყვარული, ტკბილი ხილივით,
საბრალო სულელებს ეკლით ამკობდა.

ტადრის ნანგრევთან ეპიტაფია
ძველი წარსულის აჩრდილს

დახატავს,

როცა გორგასალს უძღვნეს კაფია,
როცა თაყვანი ეყო ჯვარს და ხატს!

სული ნელნელა მადლა მიჰქროდა,
ერესის მონებს რწმენით არყევდა,

წუთის სოფლიდან სიტბო მიჰქონდა,
დიდს თუ პატარას არ განარჩევდა.

მშვიდობის ჰიმნით და სულის

გმნობით

ჩრდილი თანდათან ნათებად იქცა,
ხალხის იმედით, ღმერთთან უბნობით

თავი სინათლის ზმანებას მისცა...

კვალნი ნათილი

მეზნება მსონა მუხა...

დაპინანდაული მადლოვა

ქალბანონ მარტას

მას გვართ არც მაშინ იხე-
ნიებდნენ და არც ახლა, რადგან
ყველამ იცოდა, ვინ იყო მარტია
ბაბუნძე. ის იყო ქალი, რომელიც ამშ-
ვენებდა მთელ სამედიცინო საზოგა-
დოებას და არა მხოლოდ მას. ის
ამშვენებდა ქალაქს თავისი განათლე-
ბით, პროფესიონალიზმით, ვაჟაკური
შემართებითა და რისკით. რისკი იყო,
როცა მან დედანეში უკიდურესი მდგო-
მარეობიდან გამოიყვანა, რისკი გასწია
მაშინ, როცა შოკურ მდგომარეობაში
მყოფი ჩემი და იხსნა, გადამირჩინა ქა-
ლიშვილი, როცა მან წამლები დალია
და ვინ იცის, კიდევ რამდენს დაუბრუნა
სიცოცხლე და მასთან ერთად რწმენა
იმისა, რომ სიკვდილზე გამარჯვებაც
შეიძლება. მე არ შემოიძლია გადმოვცე
დეტალურად მისი სიხარული, როცა
იგი სიცოცხლის გამარჯვებას ზეიმობდა,
მაშინ ის შიგნიდან ანათებდა, თითქოს
და ამ შუქს ყველა და ყველაფერი
აფრქვევდა.

მადლი, სულხან საბას განმარტებით,
არის "სიკეთე, ქველობა, მოწყალება,
კეთილი საქმე." ალბათ არავის წაადგე-
ბა ისე ეს სიტყვები, როგორც თქვენ,
მარტია-ექიმო! (თქვენ ასე მოგმართა-

დათ ყველა) ახლაც თვალწინ მიდგას
ალღივით რომ ჩამოუქროლებდით
პალატებს. საავადმყოფოში ყველაფერი
სისუფთავით ბრწყინავდა, შეყვარებული
იყავით თქვენს პროფესიაზე და სხვები-
სგანაც ამას მოითხოვდით, ძალიან მკა-
ცრადაც. იმედია იყო საგარეჯო, რომ
თქვენ ვგულბოდიით. თქვენ გიყვარდათ
ზოგადად ადამიანი და მისი სიცოცხ-
ლისთვის იბრძოდით. ზოგიერთი ამას
თქვენი ხასიათის თავისებურებებით
ხსნიდა, მაგრამ ის ავიწყდებოდათ, რომ
ყოველივეს მოვალეობის მიზნით არ
აკეთებდით, არამედ ადამიანის სიყვარ-
ულით, თქვენ ხომ არავის აპატივდით
უპასუხისმგებლობას, ცრუსაქმიანობას
და უცოდინრობას.

მე მახსოვს თქვენი ნათქვამი, რო-
მელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: ად-
მიანი იმიტომ არის მოვლენილი ამქვეყ-
ნად, რომ ბოლომდე დაიხარჯოს, ჩვენი
წინაპრების დაწვებული შენობა ჩვენ
უნდა დავამთავროთო. თქვენ ამ გზაზე
ამაყად თავაწეული მიაბიჯებდით, მხარ-
ზე ჩანთამოგდებული, დიმილიანი სახით
და იმედს თესავდით, სიყვარულსა და
სიკეთეს თესავდით, ამიტომაც ყველგან
ყურადღების ცენტრში იყავით. წვიმის

ის წვეთი იყავით, რომელიც მსხვერპ-
ლად წირავს საკუთარ თავს სხვების
სიკეთის მოსატანად, სხვების გადასარ-
ჩენად.

თქვენთვის ცხოვრება საჭიდ-
აო მოედანი იყო, სადაც მუდმივად
ებრძოდით ავადმყოფობას და თითქმის
ყოველთვის იმარჯვებდით, საკუთარს
კი ვერ მოერიეთ. ამიტომაც იყო გან-
საკუთრებით მძიმე თქვენი სიკვდილი
ყველა საგარეჯოელისათვის. ბედის-
წერა იყო, სხვას ვერაფერს უწოდებ
იმას, რაც მაშინ მოხდა. ფოთოლივით
შეგაწვიტათ სწორედ ბედისწერამ სი-
ცოცხლის ხეს და დარჩა მოვლენები...
მარტამ ასე იცოდა, მარტია რომ ცოცხ-
ალი ყოფილიყო... და ასე გრძელდება
დაუსრულებლად.

ადამიანად ყოფნა უფრო მეტია, ვი-
დრე უბრალოდ ყოფნა. მე გაკვადნი-
ერდები და დავამატებ, - თქვენნიარ
ადამიანად ყოფნა ძნელიც არის და
საპატიოც.

"დიდებული ადამიანები უძველოდ
იკარგებიან" - ბრძანა ნიკო ლორთქ-
იფანიძემ, თქვენი ღვაწლია თქვენივე
უკვდავების ძეგლი, თქვენ "წუთისოფ-
ლის სუფრაზე" თქვენი წილი მიიტა-
ნეთ და ამით ხართ ბედნიერი!

ნათელში ამყოფოს თქვენი სული
ღმერთმა!

ნელი ჰაიხოსროშვილი,
საგარეჯოს I საჯარო სკოლის
პედაგოგი

„მასწავლებელი სოფლის უშიშრო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“ ...

ვალმოსილი

ახლა მარტია. ყოჩივარდები შემოე-
სია ჩვენი პატარა ქალაქის ქუჩებს.
მოდიან ადრეული გაზაფხულის უნ-
ახესი მახარობლებით ხელდამშვენე-
ული გოგო-ბიჭები, რათა რვა მარტი
და გაზაფხული მიულოცონ საყვარელ
დედას, დას, რჩეულს და სამწუხაროდ,
დღეს უკვე არცთუ ისე ხშირად, დე-
დასავით საყვარელსა და გამორჩეულ
მასწავლებელს.

საპატიო, მაგრამ უმძიმესი ტვირთი
იყო და დღესაც არის მასწავლებლობა,
რადგან სწორედ მასწავლებელზეა
დამოკიდებული, როგორ სულიერ საგ-
ზალს გვაგატანთ სკოლის კედლებიდან
ჩვენს მოსწავლეებს. საამისოდ კი ჩვენს
რაიონში დიდებული ტრადიციები
გვაქვს. აქ ხომ მუდამ იყვნენ ღვაწლმო-
სილი, აღიარებული, დაფასებული მას-
წავლებლები, აკადემიურობით, მაღალი
პროფესიონალიზმითა და სულიერი

ღირსებებით გამორჩეულნი, ჩვენი ახ-
ალგაზრდობის ღირსეული და სამაგ-
ალითო გზამკვლევენი.

როცა ასეთ პედაგოგებზე ვფიქრობ,
პირველ რიგში ჩემი მარო მასწავლე-
ბელი მასხენდება, პატივცემული მარტია
მეიფარიანი.

ქალაქს უხდებოდა, სკოლას უხდე-
ბოდა ეს მშვენიერი, მართლა ყველასა-
გან გამორჩეული ქალბატონი. ჭკვიანი,
განათლებული, ძლიერი, ბრწყინვალე
პედაგოგი, დიდებული ორგანიზატორი
და კიდევ უფრო უკეთესი ხელმძღვანე-
ლი; მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, უნ-
ებურად მოწიწებასა და პატივისცემას
რომ აგრძნობინებდა ყველას.

სიყვარულის ნიჭით უხვად დაჯილ-
დობულს, საკუთარი შვილი არ მის-
ცა ღმერთმა. ხშირად მიფიქრია, მარ-
ტობისთვის რატომ გაიმეტა განგებამ
ეს უმშვენიერესი ქალი. მძიმე ცხოვრე-
ბა ჰქონდა გავლილი, მაგრამ ცხოვრე-
ბის უღელს ტკივილებმა ვერ გაანელა

მის გულში სიკეთისა და სიყვარულის
ცეცხლი. ადამიანები უყვარდა, თავისი
საქმე უყვარდა, განსაკუთრებით
კი თავისი მოსწავლეები უყვარდა
მასწავლებელს, „თავად უშიშროს, მა-
გრამ ათასი ბავშვის მშობელს“. რამ-
დენისთვის დაულოცავს ცხოვრების
გზა, რამდენი ბავშვი გაამთბარა მისგან
უანგაროდ და უშურველად გადებული
სიკეთის მადლით. მეც ხომ ერთ-ერთი
იმათგანი ვარ.

„და წარესდგე ჩემს მეუფესთან ხელ-
ანთებული ცვილითა“. თუ ვინმეს აქვს
ამის თქმის უფლება, თქვენ უპირველე-
სი ხართ, ძვირფასო მარო მასწავლე-
ბელო. თქვენ ღირსეულად მოიხადეთ
თქვენი ადამიანური ვალი. გმადლობთ,
რომ არსებობდით და თქვენი ყოფნით
გვიმდიდრდებოდა და გვიღამაზებოდა
ცხოვრებას.

ცისმარ ტოპაშვილი,
საგარეჯოს მე-2 საჯარო სკოლის
პედაგოგი

მათ თხნ გაიყოლეს ქაჩთველი
ქალის ხიბლი ღა სუჩნელი



